ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე– კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. ც.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 134/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ს. კ.-ის მიმართ /სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. კ.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2018 წლის 2 ოქტომბერს საჩივრით მომართა გ. ც.-მ და მოითხოვა ადვოკატ ს. კ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა ასევე მონაწილეობა მიიღო 2018 წლის 26 ოქტომბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში შეხვდა ადვოკატ ს. კ.-ს. ადვოკატი საჩივრის ავტორს, მასთან გასაუბრების შემდეგ შეუთანხმდა სასამართლოში მისი ინტერესების დაცვაზე, მხარეები ასევე შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების ანაზღაურებაზე. გ. ც.-მ იმავე დღეს ადვოკატ ს. კ.-ს გადასცა 1000 (ათასი) ლარი ავანსის სახით, ხოლო დარჩენილი 2000 (ორი ათასი) ლარი პროცესის დასრულების შემდეგ უნდა გადაეცა. შეთანხმებიდან ერთი წლის განმავლობაში ადვოკატმა ს. კ.-მ ვერ ჩამოაყალიბა სარჩელი,

რომელიც წარმოებაში უნდა მიეღო სასამართლოს, რასაც ადასტურებს სასამართლოს განჩინებები. საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ სასამართლო წარმოებაში მიღებულ იქნა ს. კ.-ის მიერ მომზადებული მხოლოდ ერთი სარჩელი, თუმცა მოსამზადებელ სხდომაზე აშკარა იყო, რომ მოსარჩელე მხარის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა, ამიტომ გ. ც.-მ გაითვალისწინა მოსამართლის რჩევა, რომ სარჩელი გაეხმო, მისი ფორმულირება სხვაგვარად მოეხდინა და შემდეგ თავიდან მიემართა სასამართლოსთვის, რათა მას იგივე საკითხზე სასამართლოსათვის მიმართვის უფლება კვლავ ჰქონოდა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაში ადვოკატს კლიენტისთვის რჩევა არ მიუცია, საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ს. კ. ხვდებოდა მოწინააღმდეგე მხარეს და სავარაუდოდ არ სურდა მსგავსი შედეგი დამდგარიყო.

1.3 საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ საქმის წარმოების დროს ყველა საჭირო დოკუმენტის მოძიება მის მიერ ხდებოდა, ადვოკატი ს. კ. ამ პროცესში არ იყო ჩართული. როდესაც გ. ც. მოიძიებდა შესაბამის დოკუმენტს ხშირ შემთხვევაში ადვოკატი არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, რის გამოც მასთან ოფისში მისვლა და პირადად გადაცემა უწევდა. გ. ც.-მ განმარტა, რომ იგი 2 წლის განმავლობაში ცდილობდა გამოეთხოვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა კომპანიაში მისი მნიშვნელოვანი წილის ფლობის ფაქტის დადასტურება, აღნიშნული დოკუმენტისათვის იგი მიმართავდა ნოტარიუსს, თუმცა ნოტარიუსის მიერ მას ყოველ ჯერზე უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების განხორიელების შესახებ. საჩივრის ავტორმა მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო საჭირო დოკუმენტის გამოსათხოვად სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობის შესახებ, რაც ს. კ.-სთან შეწყვიტა საადვოკატო იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება და კონსულტაცია სხვა ადვოკატთან გაიარა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ვინაიდან მისი და ს. კ.-ის პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვეოდა სატელეფონო საუბრისას მას ს. კ.-ს შესთავაზა, რომ შეეძლოთ შეეწყვიტათ იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება და მას გადახდილ თანხას უკან დაუბრუნებდა. გ. ც.-ს არ სურდა ხელშეკრულების შეწყვეტა, თუმცა სატელეფონო გასაუბრებიდან დაახლოებით 10 დღის შემდეგ ოფისში მისვლისას მას ადვოკატმა უთხრა, რომ აღარ სურდა ხელშეკრულების გაგრძელება, კლიენტს უბრუნებდა საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მის ხელთ არსებულ საბუთებს, თუმცა უარს აცხადებდა მომსახურებისათვის მიღებული თანხის უკან დაბრუნებაზე.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ს. კ.-ს მისთვის არ განუმარტავს, რომ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი იყო. რაც შეეხება ც. კ.-ს, რომელიც იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა, როგორც გ. ც.-ისთვისაა ცნობილი, ის სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატია, თუმცა საქმის წარმოების პროცესში საჩივრის ავტორს მასთან პირადი კომუნიკაცი არ ჰქონია, შესაბამისად, პრეტენზია აქვს მხოლოდ ს. კ.-ის მიმართ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ს. კ.-ის განმარტებით, 2017 წლის სექტემბრის თვეში საადვოკატო ბიურო ს.პ.ს „კ. და კ.“-ს სამართლებრივი დახმარებისათვის მიმართა მოქალაქე გ. ც.-მ. საადვოკატო ბიუროს ადვოკატებმა ს. კ.-მ (ს/ნ) და ც. კ.-მ (ს/ნ) შეისწავლეს გ. ც.-ის მიერ წარმოდგენილი მასალები და

გამოიკვლიეს საქმის წარმოებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლის მიხედვით გ. ც. იყო შპს „ო.-ს“ ერთ-ერთი პარტნიორი, რომელსაც კონფლიქტური სიტუაცია ჰქონდა შპს-ს დანარჩენ პარტნიორებთან. პარტნიორები არ აძლევდნენ გ. ც.-ს კანონით მინიჭებული უფლების განხორციელებას და ფაქტობრივად საჩივრის ავტორი ჩამოშორებული იყო საზოგადოების საქმიანობას. ადვოკატმა ს. კ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ როდესაც პირველად შეხვდა გ. ც.-ს მასთან შეთანხმება ვერ მოხდა, ვინაიდან გ. ც.-ს სურდა საზოგადოებიდან გასვლა საზოგადოების ქონებიდან ფართის გამოყოფის გზით, თუმცა შპს-ს წესდებით საზოგადოებიდან გასვლა მხოლოდ შესაბამისი ანაზღურებით იყო შესაძლებელი, რაც ადვოკატმა აუხსნა საჩივრის ავტორს ეს უკანასკნელი კი უკმაყოფილო იყო ადვოკატის ს. კ.-ის განმარტებით. მიუხედავად ამისა, პირველი შეხვედრიდან დაახლოებით 20-25 დღეში გ. ც. საჩივრის ავტორს თავიდან დაუკავშირდა.

2.2 ადვოკატის ს. კ.-ის განმარტებით, ხელშეკრულების გაფორმებამდე გ. ც.-ს განემარტა საქმის ხასიათი, სპეციფიკა, სირთულის ხარისხი, მსგავს საქმეებში სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრებული პრაქტიკა, საქმის გადაწყვეტის ოპტიმალური გეგმა-გზები, მისი არგუმენტაცია, სავარაუდო გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საქმის გადაწყვეტასა და სამოქმედო გეგმის ცვალებადობაზე, საპროცესო ვადები, მოსალოდნელი რისკ-ფაქტორები, საქმის შესახებ არსებული წინასწარ განსაზღვრადი, სავარაუდო დეტალები. საქმისათვის საჭირო სავარაუდო ხარჯები და საადვოკატო იურიდიული მომსახურების ხარჯების ოდენობა. კონსულტაციისა და საქმის შესწავლის შემდეგ, რაც სრულად განემარტა გ. ც.-ს, იგი თანახმა იყო სარჩელის სასამართლოში შეტანაზე, სადაც დავის საგანი იქნებოდა პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან და თანხის დაკისრება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ს.პ.ს „კ. და კ.“-მ 2017 წლის 27 სექტემბერს გ. ც.-სთან გააფორმა ხელშეკრულება საადვოკატო იურიდიული მომსახურეობის შესახებ, რომლის თანახმად საადვოკატო ბიუროს ადვოკატებმა ს. კ.-მ და ც. კ.-მ აიღეს ვალდებულება გაეწიათ საადვოკატო იურიდიული მომსახურეობა გ. ც.-ისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. როგორც ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა იგი წარმოადგენს სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატს, ხოლო ც. კ. საერთო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატია. აღნიშნული გარემოების შესახებ გ. ც.-ს საადვოკატო იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე განემარტა, ასევე სპეციალიზაციის შესახებ მითითება გაკეთდა ხელშეკრულებაშიც. ადვოკატის განმარტებით ხელშეკრულება დაიდო პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებაზე და იმ შემთხვევაში, თუ გ. ც.-ს ადვოკატის მომსახურეობა დასჭირდებოდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში ხელშეკრულება მხარეებს შორის თავიდან დაიდებოდა და წარმომადგენლად მხოლოდ ც. კ. მიეთითებოდა.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ საადვოკატო ბიუროს ადვოკატების ს. კ.-ის და ც. კ.-ის მიერ მომზადდა სარჩელი და შეტანილ იქნა სასამართლოში. სასარჩელო მოთხოვნა განისაზღვრა შემდეგნაირად: გ. ც.-ის სასარგებლოდ შპს „ო.“-ს დაეკისროს მისი კუთვნილი“ 30%-იანი წილის ღირებულების ანაზღაურება საზოგადოებიდან გასვლის სანაცვლოდ; შპს „ო.-ს“ დაევალოს გ. ც.-ისათვის შემდეგი დოკუმენტების ასლის წარმოდგენა: 2013 წლიდან დღემდე საბანკო ამონაწერი წლების მიხედვით; სალაროს ამონაწერი წლების მიხედვით; კომპანიის ფინანსური ანგარიშის ელ-ვერსია; კომპანიის დაფუძნებიდან დღემდე პარტნიორთა კრების ოქმები. ასევე სარჩელში

დაყენებული იქნა შემდეგი შუამდგომლობები და მოთხოვნილი იქნა როგორც შპს „ო.“-ს 30%-იანი წილის განსაზღვრა სსიპ - ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების მიერ, ასევე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ადვოკატის განმარტებით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი თავდაპირველად დახარვეზდა, ხარვეზის გამოსწორების შემდეგ მიღებული იქნა წარმოებაში და მოსამართლის მიერ გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

2.5 ადვოკატი ს. კ. განმარტავს, რომ მოსამზადებელ სხდომაზე, რომელიც გაიმართა 2018 წლის 21 მარტს მასთან ერთად მონაწილეობდა გ. ც.ც, ასევე მონაწილეობდნენ მოპასუხე მხარეები და მათი წარმომადგენელი ა. ჭ.. მოპასუხე მხარემ მოსამზადებელ სხდომაზე წარმოადგინა ხელშეკრულება სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან საინჟინრო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რომელსაც უნდა განესაზღვრა შპს „ო.“-ს ქონების ღირებულება, ხოლო მოსარჩელე გ. ც.-მ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მას აღარ სურდა საზოგადოებიდან გასვლა 30%-იანი წილის ანაზღაურების სანაცვლოდ და სურდა საზოგადოებიდან გასვლა შპს „ო.“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფართების გაყოფის გზით, რაც არ იყო შპს „ო.“-ს წესდებით გათვალისწინებული და მისივე განცხადებით გამოიხმო სარჩელი, ხოლო გადახდილი ბაჟი 3000 ლარი დაიბრუნა უკან. ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ სარჩელის გამოხმობის შესახებ პოზიცია თავად ს. კ.-მ დააფიქსირა, თუმცა მანამდე ადვოკატმა იშუამდგომლა 5 წუთიანი შესვენების გამოცხადებისათვის, რათა მისი კლიენტის პოზიციები დაეზუსტებინა, რადგან მისთვის მოულოდნელი იყო გ. ც.-ის მსგავსი გადაწყვეტილება.

2.6 ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული დავის მიმდინარეობის პროცესში გ. ც.-ის თხოვნით ორჯერ შეხვდა მოპასუხე მხარეს მორიგების ფარგლებში, კერძოდ, პირველად შპს „ო.“-ს დირექტორებს ე. მ.-ს, მ. მ.-ს და მათ წარმომადგენელ ა. ჭ.-ს შეხვდა ოფისში მისამართზე: ქ.თბილისი ჯ. კ.-ის ქუჩა X და შეხვედრას ესწრებოდა გ. ც.-ც, ხოლო მეორედ გ. ც.-ის თხოვნით იგივე პირებს შეხვდა მათ საცხოვრებელ მისამართზე: ქ.თბილისი, დიდი დიღომი, პ.-ის ქუჩა XX, ბინა XX-ში, მათ ადვოკატს გადასცეს სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩატარებული საინჟინრო ექსპერტიზა, რომლითაც განისაზღვრა შპს „ო.“-ს ქონების ღირებულება. ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნული დასკვნა იმავე დღეს გადასცა გ. ც.-ს, რომელიც იმავე კორპუსთან ელოდებოდა. ადვოკატი უარყოფს გ. ც.-ის მიერ საჩივარში გაკეთებულ განმარტებას, იმის შესახებ, რომ ის გაურიგდა მოპასუხე მხარეს და თვლის, რომ მსგავსი განმარტება აბსურდული, რეალობას მოკლებულია, ვინაიდან ადვოკატის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაც, მაგრამ თავად გ. ც.-მ გამოიხმო მოსამზადებელ სხდომაზე, რაც მოხდა ადვოკატთან წინასწარ შეუთანხმებლად და სასამართლოზე მის მიერ დაფიქსირებული პოზიცია ადვოკატისთვისაც გაუგებარი იყო.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის გ. ც.-ის მიერ საჩივარში გაკეთებული განმარტება იმის შესახებ, რომ თითქოს ადვოკატმა ვერ ჩამოაყალიბა სარჩელის შინაარსი და მის მიერ შეტანილი რვა სარჩელი არ მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში. ადვოკატი უარყოფს საჩივარში მითითებული სხვა სარჩელების მის მიერ შეტანის ფაქტს და მიუთითებს, რომ ისინი თბილისის საქალაქო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეტანილ იქნა თვით გ. ც.-ის მიერ. ადვოკატმა აღნიშნა, რომ სასამართლო განჩინებებიდანაც ირკვევა, რომ გ. ც.-ის მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელებში დავის საგანი განსხვავდება იმ სარჩელში მითითებული დავის საგნისაგან, რომლის წარდგენის ვალდებულებაც მხარეებმა 2017 წლის 27 სექტემბრის საადვოკატო მომსახურეობის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრეს. გარდა ამისა ერთ-ერთი განჩინებით ირკვევა, რომ გ. ც. გარკვეულ საპროცესო მოქმედებებს ს.პ.ს „კ. და კ.“-ში მიმართვამდეც ახორციელებდა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, საადვოკატო ბიურო ს.პ.ს „კ. და კ.-ის“ ადვოკატების ს. კ.-ის და ც. კ.-ის მიერ სრულად იქნა შესრულებული 2017 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულება. ამის შემდგომ მხარეებს შორის სხვა შეთანხმება არ მომხდარა. როგორც ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა მხარეებს შორის ფაქტობრივად ურთიერთობა შეწყდა მას შემდეგ, რაც გ. ც.-ს საქმის წარმოებისას გამოყენებული ყველა დოკუმენტი გადასცა.

2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ გ. ც.-ის მიერ 2018 წლის 21 მარტს სარჩელის გამოხმობის შემდეგ მხარეთა პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, ვინაიდან ადვოკატის პოზიციით შესაძლებელი იყო გ. ც.-ის საზოგადოებიდან გასვლა წილის ღირებულების სანაცვლოდ, ხოლო გ. ც.-ის პოზიციით მას სურდა საზოგადოებიდან გასვლა შპს „ო.“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფართების გაყოფის გზით, რაც არ იყო შპს „ო.“-ს წესდებით გათვალისწინებული, ასევე სურდა ნოტარიუსთა პალატის არქივიდან გამოეთხოვა 1994 წლის 20 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ასლი, რათა შემდეგ დაედასტურებინა, რომ რეალურად იგი კომპანიაში არა 30%-ის არამედ 60%-ის მფლობელი იყო და ნოტარიუსის მიერ ხელშეკრულების დამოწმებისას წილები შეცდომით განისაზღვრა. აღნიშნულ საკითხზე გ. ც.-ს განემარტა, რომ ვინაიდან წლების განმავლობაში ის იყო კომპანიის დირექტორი და ამ წილებს თავად აღიარებდა დავას ამ კუთხით შედეგი ვერ ექნებოდა, თუმცა მან გადაწყვიტა დამოუკიდებლად მიემართა ნოტარიუსთა პალატის არქივის სამსახურისთვის, საიდანაც დოკუმენტის გამოთხოვაზე უარის თქმის შემდეგ მიმართა სასამართლოს. რის გამოც ყველა მის მიერ შეტანილ სარჩელზე ბიუროს პოზიცია იყო თავიდანვე ცნობილი, რომ მას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წარმოებაში არ მიიღებდა, მაგრამ მას მაინც შეჰქონდა სარჩელები სასამართლოში.

2.10 ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მართალია გ. ც.-ის მიერ, მის სახელზე გაფორმებულ რწმუნებულებას ვადა არ გასვლია, თუმცა მხარეებს შორის ურთიერთობა ფაქტობრივად დასრულდა, როცა ადვოკატმა ს. კ.-მ გ. ც.-ს საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი დაუბრუნა. ამის წერილობით მტკიცებულებას ადვოკატი ვერ წარმოადგენს, რადგან გ. ც. ოფისში აგრესიულად იყო მისული და მას მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერაზე ვერ დაითანხმებდნენ. მიუხედავად იმისა, რონ მხარეებს შორის ურთიერთობა ფაქტობრივად შეწყდა, იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება ძალაშია, ამიტომ ადვოკატის განმარტებით იგი მზადაა გააგრძელოს უფლებამოსილებების განხორციელება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში. რაც შეეხება საადვოკატო მომსახურების გაწევისათვის აღებული თანხის უკან დაბრუნებას, აღნიშნული მოთხოვნით საჩივრის ავტორს პირადად ს. კ.-ისთვის არ მიუმართავს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ს. კ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი #/, სპეციალიზაცია – სისხლის სამართალი.

3.2 გ. ც.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 2 ოქტომბერს.

3.3 სადაო ქმედება განხორციელდა 2017-2018 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ს. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა კვალიფიციურად არ წარმოადგინა მისი ინტერესები სამოქალაქო დავაში, კერძოდ, ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა სარჩელის სასამართლოში შეტანა, არ მონაწილეობდა საქმისათვის საჭირო დოკუმენტების მოძიების პროცესში, საქმის წარმოების პროცესში არ აძლევდა რჩევებს და არ განუმარტავდა მოსალოდნელ შედეგებს, ადვოკატმა ხელშეკრულების ვადის გასვლამდე უარი უთხრა კლიენტს წარმომადგენლობაზე და შესაბამისად, არ შეადგინა სარჩელი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რის გამოც საჩივრის ავტორს დამოუკიდებლად უწევდა საქმის წარმოება.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ს. კ.-ის მიერ შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.1 მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

5.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობითა გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად შესრულება.

5.4 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე #066/10 განმარტა, რომ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის

ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

5.5 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 26 აგვისტოს #030/11 გადაწყვეტილებით ,,საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული მოწმობის შესაბამისად, განსაზღვრული მიმართულებით. ეთიკის კომისია, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია საქმიანობის განხორციელების უფლებას აძლევს ადვოკატს შესაბამის დარგში, წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები შესაბამისი მიმართულებით, შესაბამისად, რისკი იმისა, რომ ადვოკატი არაკვალიფიციურად დაიცავს კლიენტის უფლებებს და ზიანს მიაყენებს კლიენტის ინტერესებს, ნაკლებია.“

5.6 მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგიის მიერ უნდა დადგინდეს, ადვოკატი ს. კ. მოქმედებდა თუ არა კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და საჩივრის ავტორის პრეტენზიები, ადვოკატის არაკვალიფიციურ მოქმედებებთან დაკავშირებით დასტურდება თუ არა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით. კერძოდ, კოლეგიამ უნდა დაადგინოს, ადვოკატ ს. კ.-ის სპეციალიზაციის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა თუ არა გ. ც.-ს მასთან ურთიერთობის დაწყებისას. კოლეგიამ ასევე უნდა გამოიკვლიოს რამდენი სარჩელი იქნა სასამართლოში შეტანილი ადვოკატის მიერ, დახარვეზდა თუ არა ისინი, მონაწილეობდა თუ არა ადვოკატი საქმისთვის საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებაში - სანოტარო ორგანოდან გარკვეული დოკუმენტის გამოთხოვაში.

5.7 ადვოკატმა უარყო საჩივრის ავტორის პრეტენზიები და აღნიშნა, რომ მის მიერ სრულად იქნა შესრულებული 2017 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულება - გ. ც.-ს შეთანხმების დაწყებამდე განემარტა, რომ ს. კ.-ს კვალიფიკაცია ჰქონდა სისხლის სამართლის მიმართულებით, ხოლო ც. კ. საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი იყო; ადვოკატმა მოამზადა სარჩელი და შეიტანა სასამართლოში, თავდაპირველად სარჩელი დახარვეზდა, ხოლო ხარვეზის გამოსწორების შემდეგ სასამართლომ წარმოებაში მიიღო სარჩელი და გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება; ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო 2018 წლის 21 მარტს სასამართლოში გამართულ მოსამზადებელ სხდომაში, სადაც გ. ც.-მ მისივე ინიციატივით სარჩელი გაიხმო; დავის მიმდინარეობის პროცესში, ადვოკატი გ. ც.-ის თხოვნით ორჯერ შეხვდა მოპასუხე მხარეს მორიგების ფარგლებში; ხოლო მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციების შემდეგ, ფაქტობრივად ურთიერთობა შეწყდა 2018 წლის 21 მარტს სასამართლოში გამართული სხდომის შემდეგ და ადვოკატმა გ. ც.-ს საქმის წარმოებისას გამოყენებული ყველა დოკუმენტი გადასცა. ადვოკატმა ასევე აღნიშნა რომ მხარეს შესაბამისი დასაბუთებით განუმარტა, რომ სანოტარო ორგანოდან დოკუმენტის გამოთხოვას იურიდიული შედეგი ვერ ექნებოდა.

5.8 საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ 2017 წლის 26 სექტემბერს გ. ც.-მ ს. კ.-სა და ც. კ.-ს მისცა მინდობილობა (სანოტარო აქტი N). ამავე დღეს გ. ც.-სა და საადვოკატო ბიუროს სპს „კოსოევსა და კომპანიას“ შორის დაიდო წერილობითი ხელშეკრულება, სადაც აღნიშნულია, რომ „საადვოკატო ბიურომ კლიენტს საქმის ხასიათიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე საადვოკატო მომსახურებისათვის გამოუყო ადვოკატები: ც. კ. - სპეციალიზაცია

საერთო და ს. კ. - სპეციალიზაცია სისხლი“. ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატები გ. ც.-ის ინტერესებს დაიცავდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან და თანხის დაკისრება, ხელშეკრულება ხელმოწერილია გ. ც.-ისა და საადვოკატო ბიუროს დირექტორის ს. კ.-ის მიერ.

5.9 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე საჩივრის ავტორის, გ. ც.-ისთვის ადვოკატ ს. კ.-სთან ურთიერთობის დაწყებისას ცნობილი იყო ადვოკატის სპეციალიზაცია, რასაც ის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დაეთანხმა.

5.10 ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები დააფიქსირეს მხარეებმა ასევე სასამართლოში შეტანილ სარჩელებთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატმა ერთი წლის განმავლობაში ვერ ჩამოაყალიბა სარჩელის შინაარსი, ხოლო ადვოკატის განმარტებით სასამართლოში გ. ც.-ს დამოუკიდებლად შეჰქონდა სარჩელები, რასაც სასამართლო წარმოებაში არ იღებდა, თავად კი მხოლოდ ერთი სარჩელი შეიტანა, რომელიც სასამართლომ წარმოებაში მიიღო.

5.11 საპროცესო კოლეგია მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით, აღნიშნავს, რომ გ. ც.-სა და ს. კ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2017 წლის 26 სექტემბრიდან და დასრულდა 2018 წლის 21 მარტიდან რამოდენიმე დღეში, ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის მიხედვით დავის საგნად განისაზღვრა პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან და თანხის დაკისრება. ამ ურთიერთობის პერიოდში, გ. ც.-ის წარმომადგენელმა ს. კ.-მ სარჩელითა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 ოქტომბერს, აღნიშნული დგინდება საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 01 ნოემბრის განჩინებით, რომლითაც გ. ც.-ს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე, მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა უძრავი ნივთის რეესტრში რეგისტრაცია და წილის გამოყოფა. საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განჩინებით, რომლითაც მოსარჩელე გ. ც.-ს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე ხარვეზი დაუდგინდა, ირკვევა, რომ 2017 წლის 13 ნოემბერს გ. ც.-ის წარმომადგენელმა ს. კ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიმართა სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, დავის საგანი იყო საზოგადოებიდან გასვლა და ინფორმაციის წარმოდგენა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 ნოემბრის განჩინებით გ. ც.-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, ხოლო 2017 წლის 15 დეკემბრის განჩინების მიხედვით გ. ც.-ის წარმომადგენლის მიერ შეტანილი სარჩელის განხილვის მიზნით 2018 წლის 21 მარტს ჩაინიშნა მოსამზადებელი სხდომა.

5.12 შესაბამისად, ს. კ.-ის მიერ გ. ც.-ის სასარგებლოდ სასამართლოში შეტანილი იქნა ორი სარჩელი, რომელთაგან ერთი სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო, ხოლო მეორე სარჩელი, სადაც დავის საგანს ხელშეკრულების მე-4 მუხლში მითითებული განსაზღვრება წარმოდგენდა, წარმოებაში იქნა მიღებული და ასევე გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ სხვა განჩინებებს - 2017 წლის 02 აგვისტოს, თბილისის საქალაქო

სასამართლოს განჩინებას სარჩელისა და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, 2018 წლის 29 ივნისის, 2018 წლის 09 ივლისისა და 2018 წლის 10 ივლისის სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებებს და 2018 წლის 30 ივლისის მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ განჩინებას, აღნიშნულ განჩინებებში მითითებულია, რომ სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. ც.-მ, რომლებშიც დავის საგანი განსხვავდება იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული დავის საგნისაგან, ამასთან აღნიშნული განჩინებები მიღებულია მაშინ, როდესაც გ. ც.-სა და ს. კ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა პირველი განჩინების მიღებისას არ იყო დაწყებული, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში დასრულებული იყო.

5.13 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ს. კ.-ს კავშირი არ ჰქონდა გ. ც.-ის მიერ შეტანილ სარჩელებთან. შესაბამისად, საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვით ადვოკატმა ვერ შეძლო სარჩელის შინაარსის ჩამოყალიბება და სასამართლომ ადვოკატის მიერ წარდგენილი რამოდენიმე სარჩელი წარმოებაში არ მიიღო, არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

5.14 ასევე განსხვავებული პოზიცია დააფიქსირეს მხარეებმა ნოტარიუსთა პალატის არქივიდან დოკუმენტის გამოთხოვის თაობაზე. კერძოდ, საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატმა არ განუმარტა მას, რომ კონკრეტული ფაქტის დასადგენად შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის, თუმცა განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს ს. კ., რომლის მიხედვითაც მხარეს შესაბამისი დასაბუთებით განემარტა, რომ დოკუმენტის გამოთხოვას იურიდიული შედეგი ვერ ექნებოდა, ამ განმარტებით არ იკვეთება, რომ ს. კ. თავს არიდებდა ვალდებულების შესრულებას.

5.15 საჩივრის ავტორის პრეტენზიის შესახებ, რომელიც შეეხება ადვოკატის მიერ გაწეული კონსულტაციების თუ საპროცესო მოქმედებათა მართებულობას, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს, რამდენად სწორი სტრატეგია აირჩია ადვოკატმა ს. კ.-მ კლიენტის სამოქალაქო საქმის წარმოებისას და რამდენად სწორად მოამზადა ადვოკატმა კლიენტის საქმეზე სამართლებრივი დოკუმენდაცია, ვინაიდან აღნიშნული საკითხის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.

5.16 საპროცესო კოლეგია წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით მიიჩნევს, რომ ადვოკატი საპროცესო კანონმდებლობისა და შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას. შესაბამისად, არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.ა მუხლის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლის დარღვევის თაობაზე, რის გამოც ადვოკატ ს. კ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით, 27-ე მუხლით, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №134/18 ადვოკატ ს. კ.-ის მიმართ /სიითი № არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/